ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №1/180- 2015

ქ. თბილისი „21“ აგვისტო 2015წ.

ერთი მხრივ,

შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" (ქ. თბილისი, სამგორის რაიონში, აეროპორტის დასახლება (აეროპორტი)ს.კ №404 389 693) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის გელა ამირანაშვილის სახით შემდგომში ("შემსყიდველი") და მეორე მხრივ,

შპს „თეგეტა მოტორსი" (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისის საბურთალოს რაიონში, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კ.მ ს.კ. N202 177 205) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი")

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის თანახმად, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის საჭიროებისთვის, კერძოდ, სპეც. ავტო ტექნიკისთვის (ავტოტრაპი, დიაისერი, მოყინვის საწინააღმდეგო მანქანა, საჰაერო ხომალდის გამწე, ტუალეტის სერვისი, წყლის სერვისი, ჰაერით გამშვები, კონდიციონერი, დენით გამშვები) ძრავის ზეთის შესყიდვა - (CPV-09211100).

	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	ძრავის ზეთი შელი 5W40 helix ultra	35 ლიტრი	16,65 ლარი	582,75 ლარი
2	ძრავის ზეთი შელი 10W40 helix hX7	100 ლიტრი	11,50 ლარი	1150 ლარი
				სულ: 1732, 75

2. **ხელშეკრულების ფასი**

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1 732,75 (ერთი ათას შვიდასოცდათორმეტი ლარი და 75 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაში შედის საქონლის შესყიდვასთან და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, რომელიც უნდა გადაიხადოს „მიმწოდებელმა".

3. **ხელშეკრულების განხორციელების ვადები და პირობები**

3.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. საქონლის მიწოდება მოხდება მიმწოდებლის ქუთაისის ოფისიდან.

4. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება საქონლის მიწოდებისთანავე ფორმდება „მიღება-ჩაბარების" აქტით. რის საფუძველზეც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს სასაქონლო ზედნადებს და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას.

5. **ანგარიშსწორების პირობები**

5.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული „მიღება–ჩაბარების" აქტი, სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

5.3. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება მე-5 მუხლის 5.2. პუნქტში განსაზღვრული პირობის დასრულების შემდეგ 20 (ოცი) დღის ვადაში.
5.4. „მიღება–ჩაბარების” აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის გარეშე არ მოხდება თანხის გადახდა.

6. **მხარეთა უფლებამოვალეობანი**

6.1 **„მიმწოდებელი“ ვალდებულია:**

6.1.1 მიაწოდოს შემსყიდველს ხარისხიანი საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროსა და ადგილას;

6.1.2 მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

6.1.3 კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

6.1.4 დროულად განიხილოს „შემსყიდველის” მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6.1.5 უზრუნველყოს შემსყიდველისთვის ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაციის მიწოდება ასეთის არსებობის შემთხვევაში;

6.1.6 მიწოდებული საქონლის დადგენილ სტანდარტებთან და ხარისხთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

6.1.7 მიმწოდებელი ვალდებულია მიწოდებულ საქონელზე გამოვლენილი ნაკლი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით.

6.1.8 მიმწოდებელს შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ აქვს უფლება გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი უფლება-მოვალეობები მესამე პირს.

6.1.9 მიმწოდებელი ვალდებულია პირადად განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

6.2 **“შემსყიდველი” ვალდებულია:**

6.2.1 უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის მიწოდებული საქონლის საფასურის გადახდა ხელშეკრულების შესაბამისად.

6.2.2 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის” მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6.3 **“მიმწოდებელს” უფლება აქვს:**

6.3.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს მიწოდებული საქონლის საფასური დროული და სრული ანაზღაურება.

6.4 **„შემსყიდველს” უფლება აქვს:**

6.4.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი;

6.4.2 არ მიიღოს უხარისხო საქონელი მოითხოვოს ახლით შეცვლა ან ხარვეზის გამოსწორება;

6.4.3 მოითხოვოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;

6.4.4 შეწყვიტოს ხელშეკრულება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

7. **ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა**

7.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

7.3 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს ცვლილების შესახებ წერილობითი შეტყობინება ცვლილების აუცილებლობის დეტალური დასაბუთებით, მათ შორის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის შესახებ.

7.4 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება და აღნიშნული შეფერხება არ არის გამოწვეული ფორს-მაჟორული გარემოებით, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

8.2. შეტყობინების მიმღებმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების ან შეფერხების სხვაგვარად აღმოფხვრის თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებებია: მიწისძვრა; წყალდიდობა; ხანძარი; ქარიშხალი; დიდთოვლობა; ნისლი; ტემპერატურის მკვეთრი ცვლილებები; ცენტრალური ენერგო მომარაგების (ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია) და ცენტრალური წყალმომარაგების შეწყვეტა მხარისგან დამოუკიდებელი მიზეზით; სამხედრო მოქმედებები; ეპიდემიები; გაფიცვები; სამთავრობო ორგანოების გადაწყვეტილებები ან მათი არარსებობა; ბლოკადა; ემბარგო; საკანონმდებლო აქტებში ცვლილებები, რომლებიც უშუალოდ ახდენენ გავლენას მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

9.2 ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებზეც გავლენას არ ახდენენ ფორს–მაჟორული გარემოებები.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს–მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება

პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

10.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3 პირგასამტეხლოს გარდა მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

11. **ხელშეკრულების შეწყვეტა**

11.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

11.1.1 ურთიერთვალდებულებების შესრულებით;

11.1.2 მხარეთა შეთანხმებით;

11.1.3 ცალმხირვად შემსყიდველის მიერ;

11.1.4 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.2 ხელშეკრულება შემსყიდველის მიერ ცალმხრივად შეიძლება იქნას შეწყვეტილი თუ:

11.2.1 მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

11.2.2 მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

11.2.3 შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების (იგულისხმება ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა) გამო 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივ ან სრულად შესრულებას;

11.2.4 მიმწოდებლის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის შემთხვევაში;

11.2.5 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. **ინსპექტირების პირობები**

12.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის სპეც. ავტო ტექნიკის გარაჟის უფროსი დავით მესხი და ლოჯისტიკისა და მონიტორინგის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი.

12.2. კოორდინატორის ფუნქციებია:

12.3. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

12.4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერა.

13. **გარანტია**

13.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს" ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

13.2. "შემსყიდველი" უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

13.3. მიწოდებული საქონლის **ვარგისიანობის ვადა (შენახვის პირობების დაცვისას) არის 1 (ერთი) წელი** „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან.

13.4. წუნდებული პროდუქტის შეცვლა/შეკეთება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ მისივე ხარჯით.

14. **ხელშეკრულების ვადა**

14.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე არაუგვიანეს 2015 წლის 31 ოქტომბრისა.

15. **დავების გადაწყვეტა**

15.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15.2. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

15.3. თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს გზით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

16. **დასკვნითი დებულებები**

16.1. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

16.2. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად ერთი შემსყიდველისთვის, ხოლო ერთი - მიმწოდებლისათვის. ყველა ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

17. **მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები**

„შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" **მისამართი:** ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, აეროპორტის დასახლება, აეროპორტი **ს.კ** № 404 389 693 **საბანკო რეკვიზიტები:** სს "თი ბი სი ბანკი", **ბანკის კოდი:** TBCBGE22 **ა/ა:** GE47TB0615536070100001 GEL --- გელა ამირანაშვილი დირექტორის მოადგილე	**შპს „თეგეტა მოტორსი"** **მისამართი** ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კ.მ #5 **ტ:** 032 224 44 44 **ს.კ.** N 202 177 205 **საბანკო რეკვიზიტები:** სს „თი ბი სი ბანკის" ცენტრალური ფილიალი ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE80TB0600000024467858/GEL --- თემურ კოხოძე გენერალური დირექტორი